# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

4 ივლისი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 124 (10 293) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


რალი „ოქროს საწმისი"

## სტარტამდე 4 დღე დარჩა!

შაბათს, 7 ივლისს, დღის 12 საათზე, თბილისის იპოდრომზე დაიწყება საავტომობილო რალი — „ოქროს საწმისი"!





შეჯიბრების ორგანიზატორები არიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედებითი ცენტრი „არგონავტები".

რალის ჩატარების პროცესში მოეწყობა სანახაობრივ-გასართობი და კომერციული ღონისძიებები!

რეტრო და თვითნაკეთი მანქანების მფლობელებმა დროულად მიაკითხეთ რალის საორგანიზაციო კომიტეტს (ტელეფონები: 86-61-84, 86-65-60).

მაშ ასე, 7 ივლისს, 12 საათზე გიწვევთ თბილისის იპოდრომზე. ნუ დააკლდებით ამ დიდებულ სანახაობას!

საგანგებო შემთხვევა

# საბოლოო პუნქტი — მოსკოვი...

### დიახ, საქართველოს ბევრი სპორტსმენისთვის, რომლებიც უცხოეთში მიემგზავრებიან, სამწუხაროდ, მოსკოვი ბოლო პუნქტია

**ადრე** თუ საბჭოთა კავშირიდან უცხოეთში გამგზავრებას აკრძალვების კარგად გამოთვლილი, მკაცრი სისტემა აფერხებდა, ახლა მას სხვა „თანაშემწეც" გამოუჩნდა; თავისუფლად შეიძლება დროულად შეკვეთილ ბილეთებზე არცთუ თავაზიანი უარი გითხრან.

სულ ახლახანს ასე დაემართათ საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეებსა და მძლეოსნებს, რომლებიც ისრაელში მიემგზავრებოდნენ. ახლა კი მათი ბედი ეწვიათ ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავეებსაც, ოღონდ ისინი კანადისაკენ მიეშურებოდნენ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში („კანადის თასი") მონაწილეობის მისაღებად.

გუნდის ხელმძღვანელებმა ბილეთები დროულად შეუკვეთეს, მაგრამ ჩვენში ეს პროცედურა სრულებით არ ნიშნავს ბილეთების უეჭველ მიღებას, რაშიც კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ ჩვენი ფალავნები. მოსკოვში ჩასულებს გამოუცხადეს, რომ თქვენი ბილეთები გაყიდულიაო, როგორც ამ რეისის კიდევ 13 მგზავრისა.

ამ კონფუზს ალბათ საქმის არაოფიციალური მხარე უფრო მოჰფენს ნათელს, ამიტომ გეტყვით: იმისათვის, რომ ამერიკის კონტინენტზე გასამგზავრებელი ბილეთი მოიხელთო, სალაროში ბილეთის ფასის გარდა 2000 მანეთიც უნდა გადაიხადო, ნამალევად, რა თქმა უნდა. ასეთია ახლანდელი „სტავკა", რომელიც კერძო პირთა ჯიბეებში მიდის. ამიტომ ვინ გაიმეტებს ასე იოლად ბილეთებს, თუნდაც ისინი შეკვეთილი გქონდეს. ამის გამო, კომპიუტერში, რომელიც ამა თუ იმ რეისზე ბილეთების არსებობა-არარსებობას აღნიშნავს, საგანგებოდ არ შეაქვთ ასეთი დეფიციტური რეისები, რათა თვითონ ჰქონდეთ სრული მონოპოლია.

ჩვენ გუნდს კი გამოუწერეს ბილეთები, ოღონდ ნომრების გარეშე, თან დაჰპირდნენ; რომელიმე რეისს გაგაყოლებთო. მოჭიდავეებმაც იცადეს, იცადეს და როცა კარგად დარწმუნდნენ ამ დაპირების „ჭეშმარიტებაში", თბილისში გამოემგზავრნენ.

გვაპატიონ, მაგრამ გვინდა ვიკითხოთ, ვინ უნდა აანაზღაუროს ჩვენი გუნდის აქეთ-იქით (მოსკოვამდე და უკან) უსარგებლო მგზავრობით გამოწვეული ზარალი?

ახლა მეორე ისტორიაა: როგორც იცით, ჩვენი 6 თავისუფალი სტილის მოჭიდავე მოხვდა საბჭოთა კავშირის ნაკრებში, რომელიც უნგრეთში, ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში უნდა გამოსულიყო. საქართველოს სპორტის მესვეურებს ამისთვის 2200 დოლარი მოსთხოვეს, ახლა ჩვენი, ე. ი. ჭიდაობის საკავშირო ფედერაცია თვითდაფინანსებაზეა და ვალუტა თქვენ უნდა გაიღოთო.

ეს დოლარები, როგორც იცით, მოჭიდავეებს ლევან თედიაშვილმა უსაჩუქრა. როცა გუნდის გახარებული ხელმძღვანელები მოსკოვს ჩავიდნენ ამბის საბოლოოდ გასარკვევად (თან ვალუტის შოვნის ამბავიც ჩაიტანეს), იქ უთხრეს რომ... უნგრეთში გასამგზავრებელი ბილეთები ვერ ვიშოვეთო. არადა, მსოფლიო ჩემპიონატი ორი კვირის შემდეგ უნდა დაიწყოს.

ახლა საქართველოს სპორტსახკომი თავის მიმართვას ამზადებს საკავშირო სპორტსახკომის ხელმძღვანელებისადმი, იქნებ მათ მოახერხონ ბილეთების შოვნა. მოკლედ, ჯერ კიდევ არის იმედი, მაგრამ...



მათი ცალ-ცალკე გაცნობა შემდეგისათვის გადავდოთ, როცა სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატი დამთავრდება. ამჯერად კი ჯგუფურ პორტრეტს გთავაზობთ საქართველოს კლასიკური სტილით მოჭიდავეებისა, რომლებიც კიშინიოვის ორთაბრძოლებისათვის ემზადებოდნენ. ისინი გუშინ გაემგზავრნენ მოლდავეთის დედაქალაქში, სადაც 5-8 ივლისს გაიმართება ცხარე ორთაბრძოლები სხვადასხვა სინჯის მედლისათვის ქვეყნის უძლიერეს ათლეტთა მონაწილეობით.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ქართველი ათლეტები თბილისის ფალავანთა კლუბში საკავშირო პირველობისათვის მზადების დღეებში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.





# ფეხბურთის ახალი წესები



**ფეხბურთის** წესები, ეს ცნობილი ამბავია, კონსერვატულია. გადის წლები, თამაში სულ უფრო იხვეწება, დაძაბული ხდება, ახალ ტაქტიკურ ვარიანტებს, ახალ ადამიანებს ბევრი რამ ახალი მოაქვთ, მაგრამ თამაშის კოდექსი, რომელიც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესების საბჭოს გამგებლობაში იმყოფება, მხოლოდ გარკვეული პერიოდების შემდეგ, ისიც იშვიათად თუ განიცდის ცვლილებას.

საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში ახლა ამაზე ბევრი ლაპარაკია, ნოვატორობისა და სიახლეთა მომხრეები საკმარისად არიან, მაგრამ წესების საბჭო მკაცრად, ერთგული ცერბერივით დარაჯობს ფეხბურთის კანონებს და მხოლოდ იშვიათი გამონაკლისის შემთხვევაში მიდის გარკვეულ დათმობაზე, თამაშის მთავარ არსს კი უცვლელად ტოვებს. საერთოდ, საერთაშორისო წესების საბჭო ღრმადაა დარწმუნებული, რომ თამაშის კოდექსი ძალზე გონივრულად და ლოგიკურადაა შედგენილი. წუნი მას არ დაედება და ზედმეტ სიახლეს მხოლოდ ზიანის მოტანა თუ შეუძლია ამ პოპულარული თამაშისთვის. ფეხბურთი — ფეხბურთია, იგი არ შეიძლება დაემსგავსოს, ვთქვათ, ჰოკეის, კალათბურთს, რაგბის და ა. შ. მკითხველს, ალბათ, ეხსომება, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა ამას წინათ სურვილი გამოთქვა ფეხბურთის თამაშის დრო გაეხანგრძლივებინათ, ორის ნაცვლად დაეწესებინათ 4 ტაიმი. ამან ფეხბურთის ფუნქციონერთა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, ვინაიდან თამაშის არსებული წესები იმდენად გამჯდარია ჩვენში, უშუალოდ ფეხბურთელებშიც, მსაჯებშიც და მაყურებლებშიც, რომ ეს 4 ტაიმი აბსურდად მიგვაჩნია.

სხვათა შორის, ფეხბურთის თამაშის წესების საერთაშორისო საბჭომ ამას წინათ გამოაქვეყნა ბოლო წლებში მომხდარ ცვლილებათა ნუსხა და გამოირკვა, რომ მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია. წესები ხელს უწყობს თამაშის პროგრესს, მაგრამ ამავე დროს თვით ფეხბურთის არსი, ფეხბურთის მთავარი შინაარსი უცვლელი უნდა დარჩეს, ვინაიდან იგი სწორედ თავისი შინაარსით არის საყოველთაოდ აღიარებული და პოპულარული.

სულ ახლახან გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ იმ შემთხვევაში, როცა ერთი გუნდის თავდამსხმელი მოთამაშე და მეორე გუნდის მცველი ერთ ხაზზე იმყოფებიან „თავდამსხმელისთვის ბურთის გადაცემის მომენტში, „თამაშგარე მდგომარეობა" აღარ აღინიშნება და მცველს უპირატესობა არ მიეცემა. ეს მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებაა ისეთ რთულ, უაღრესად დახლართულ და ძნელად გასარკვევ პუნქტში, როგორიც არის „თამაშგარე მდგომარეობა". ვინ მოთვლის, რამდენი სკანდალი მომხდარა იმის გამო, რომ მოთამაშეებმა ან მაყურებლებმა სწორად ვერ გაარკვიეს შექმნილი მდგომარეობა და თავდამსხმელს „თამაშგარე" ჩაუთვალეს. მსაჯებსაც ერჩივნათ ასეთ შემთხვევაში მოთამაშეები ერთ ხაზზე მიეჩნიათ და იოლად გამოსულიყვნენ მდგომარეობიდან.

ფეხბურთის არბიტრთა საერთაშორისო ასოციაციის (ფიბა) სხდომაზე კოდექსის რამდენიმე უმნიშვნელოვანეს პუნქტს მიუდგნენ კრიტიკული თვალსაზრისით, მათ შორის ზემოხსენებულ წესსაც.

არის სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც:

— მოთამაშეს, მეკარესაც კი, მინდვრიდან გააძევებენ, თუ მან მეტოქის კართან გასული ფეხბურთელი შეაჩერა ხელის ჩავლებით, მაისურის დაჭერით ან სხვა საშუალებით, მაშინ, როცა მოიერიშეს წინ სხვა დაბრკოლება არ ელობებოდა;

— მოთამაშეს საყვედურს გამოუცხადებენ, თუ იგი მეტოქეს საჯარიმო დარტყმის შესრულებაში ხელს უშლის იმ მიზნით, რომ თავის გუნდს საშუალება შეუქმნას თავი მოიყაროს დასაცავად და აღმართოს „კედელი";

— მსაჯმა სათამაშო მინდვრის ფარგლებს გარეთ უნდა გააყვანინოს ტრავმირებული მოთამაშე, უკან დაბრუნების უფლება მას აქვს მხოლოდ არბიტრის ნებართვით სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ;

— ფეხბურთელები ვალდებული არიან მკაცრად დაიცვან სათამაშო სპორტული ფორმა. აკრძალულია მინდორზე ყოფნა ტრუსებიდან ამოჩაჩული მაისურით, ჩამოვებული გეტრებით, ფეხბურთელი უნდა მინდორს გარეთ გავიდეს, წესრიგში მოიყვანოს ფორმა და შემდეგ, მხოლოდ მსაჯის ნებართვით, დაუბრუნდეს თამაშს;

— არბიტრი ვალდებულია შეაკავოს ფეხბურთელთა მიერ აღფრთოვანების მოჭარბებული, ზომასგადაცილებული გამოხატვანი, მან ყვითელი ბარათი უნდა აჩვენოს ფეხბურთელს, რომელიც ემოციებით ატაცებული გადასცდება სარეკლამო ფარებით შემოფარგლულ სივრცეს და ტრიბუნებისა და მინდვრის გამყოფ ღობეზე აფოფხდება.

ახალი წესები ძალაში შედის ა. წ. 25 ივლისიდან და სავალდებულოა ყველა ქვეყნისათვის.

## წოდების მინიჭება

**საბჭოთა კავშირის სპორტსახკომმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:**

**ძიუდოში** — კახა გუჯეჯიანს (თბილისი, „შევარდენი"), ანატოლი ავაზნელს (გორი, „შევარდენი), გოჩა ერისთავს (გორი, „მართვე"), კობა თადიაშვილს (დუშეთი, „შევარდენი"), ფრიდონ ყვავილაშვილს (თბილისი, შეიარაღებული ძალები), ზაზა გოლეთიანს (ქუთაისი, „დინამო"), მაუკა ბექაურს (თბილისი, შეიარაღებული ძალები), ჯამბულ ქამხაძეს (კასპი, „შევარდენი").

**საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა:**

**ძიუდოში** — ზაზა დაბრუნდაშვილს, ბათო ჯიქურს (ორივე — თბილისი, შეიარაღებული ძალები).

**საციგაო სპორტში** — კახაბერ ვახტანგიშვილს, ლევან თიბილოვს (ორივე — ბაკურიანი).

# და მაინც, უმაღლეს ლიგაში...

## სეზონი დამთავრდა, სეზონი იწყება

**ქალთა** კალათბურთი წლობით „ნაგროვი" წარუმატებლობის შემდეგ თითქოს ისევ აღმავლობის გზაზე დადგა. ყოველ შემთხვევაში, გასულ სეზონში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა ერთობ კარგად იასპარეზა I ლიგაში, ხოლო ქუთაისელი კალათბურთელი გოგოები ამ ლიგის საგზურისთვის იბრძოდნენ, და რაც მთავარია თვითონ ახალგაზრდობა არ ზოგავს ძალებს...

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შევძელით მკითხველებისთვის დროულად მიგვეწოდებინა ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის საბოლოო შედეგი I ლიგაში ასპარეზობის დამთავრების შემდეგ; საკდესი და საკავშირო სპორტული პრესა მწირად აშუქებდა ამ ლიგის კალენდარულ მატჩებს და ინფორმაციის მოპოვება თვითონ გვიხდებოდა ხოლმე. ამასთან, შევიტყვეთ, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ჩატარების სისტემაც იცვლებოდა და ჩვენც დავუცადეთ საბოლოო გადაწყვეტილებას.

ინტერვიუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის უფროს მწვრთნელთან გარი არუთინოვთან.

● **რას გვეტყოდით გასული ჩემპიონატის შესახებ?**

— როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი გუნდი მთელი სეზონის მანძილზე ლიდერთა ჯგუფში იყო, უფრო ზუსტად კი, პირველ ან მეორე ადგილზე იმყოფებოდა პირველი ლიგის გათამაშებაში, მაგრამ სეზონის ბოლო ზოგ მატჩში ტრავმების გამო გუნდის შემადგენლობა თითქმის ნახევრდებოდა. ამიტომ ფინიშთან დავკარგეთ ქულებიც და საბოლოოდ მხოლოდ მესამე-მეოთხე ადგილები გავიყავით გორკის „შრომითი რეზერვების" გუნდთან ერთად.

● **ახალი სეზონისათვის მზადებასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ: იქნება გუნდში რაიმე ცვლილებები?**

— გუნდი მზადებას იწყებს ისევ ძირითადი ბირთვით, ესენი არიან: ნატო ლორია, ნინო კურტანიძე, ნინო სირაძე, თამრიკო ბუილიშვილი, მედეა მხეიძე... რა თქმა უნდა, აღნიშნულ მოთამაშეებს კიდევ დაემატებათ ახალგაზრდა სპორტსმენები.

● **ცნობილი გახდა, რომ შეიცვალა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ჩატარების სტრუქტურა, მოკლედ ხომ ვერ გვეტყოდით როგორი იქნება იგი?**

— საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის ახალ სეზონში ჩატარდება შემდეგნაირად: უმაღლესი და I ლიგის გუნდები გაერთიანდებიან ერთ ჯგუფში, ე. ი. ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 24 კოლექტივი. ისინი დაყოფილი არიან 6 ჯგუფად. მაგალითად, ჩვენთან ერთად ითამაშებენ ვოლგოგრადის „დინამო", კიევის „დინამო", და პენზის „სპარტაკი". ჯგუფებში შეხვედრები გაიმართება სამ ეტაპად და პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები იბრძოლებენ ჩემპიონობისთვის. ჩვენ პირველ ტურში (8-10 ოქტომბერს) პენზაში გამოვალთ, 17-19 ოქტომბერს თბილისში და 27-29 ოქტომბერს — კიევში.

● **თქვენი აზრით, რა პერსპექტივები აქვთ ჩვენს გუნდს ამ ახალ ჩემპიონატში?**

გასულ სეზონშიც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ: თუ შევძელით შემადგენლობის შენარჩუნება, ვიბრძოლებთ VIII-XIV ადგილებისთვის. ეს კი არ იქნება ურიგო შედეგი, რამდენადაც უმაღლეს ლიგაში ძლიერი გუნდები ასპარეზობენ და მათთან მოგვიწევს ბრძოლა.

● **თუ არის ვინმე ჩვენი გუნდიდან საკავშირო ნაკრებში?**

— კანდიდატად იყო დასახელებული საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მედეა მხეიძე, მაგრამ ბოლო საწვრთნელ შეკრებაზე იგი აღარ გამოიძახეს. ალბათ იმიტომ, რომ ტრავმების გამო სუსტად იასპარეზა გასულ ჩემპიონატში. იმედია, რომ ახლა-მუყაითი ვარჯიშით, იგი კვლავ მოიპოვებს ადგილს საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში და იასპარეზებს ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში.

● **თუ გაქვთ რაიმე პრობლემები?**

— ბაზის უქონლობა გვაოელვებს, არ ვიცით რომელ დარბაზში ვითამაშებთ, და ალბათ მალე ხელფასების საკითხიც დადგება დღის წესრიგში. იმედი გვაქვს, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ჩამოსულ სპორტსმენთა დაბინავების საკითხიც მალე დადებითად გადაწყდება.

● **თუ გეხმარებათ ვინმე?**

— ჯერჯერობით დახმარების ხელს გვიწვდიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ხელმძღვანელობა.

● **ახლახან თქვენ თურქეთიდან დაბრუნდით, სადაც საერთაშორისო ტურნირში იღებდით მონაწილეობას, იქნებ ამაზეც გვითხრათ რაიმე?**

— ეს შეჯიბრება ჩატარდა ბოგაჩის ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტულ ბაზაზე. იმ ქალთა ტურნირში ოთხი გუნდი ასპარეზობდა. ჩვენ საკმაოდ მაღალ დონეზე ჩავატარეთ შეხვედრები, ყველა გუნდი დავამარცხეთ და პირველობა არავის დავუთმეთ. ახლა კი გუნდი შვებულებაშია, მომავალი სეზონისთვის მზადებას ივლისის პირველ რიცხვებში დავიწყებთ.

**ესაუბრა ზია ბურდული.**

# ორიენტირი... ქუთაისისკენ

**ბოლო** წლებში საქართველოში, კერძოდ, ქუთაისში, სპორტულ ორიენტირებასაც მისდევენ. არის წარმატებები, როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო ტურნირებში. ამას წინათ, ქუთაისის შემოგარენში — მუხრანის აგარაკსა და ოღასკურის ხეობაში კიდევ ერთი საინტერესო შეჯიბრება ჩატარდა — სპორტის ოსტატ კოტე ასტახიშვილის IV რესპუბლიკური მემორიალი. ამას მოჰყვა ქუთაისის პირველი ღია საკავშირო პირადი პირველობა, რომელიც ქალაქში ორიენტირების დანერგვის 10 წლისთავს მიეძღვნა. ამ იდეის განხორციელებაში მხარი დაგვიჭირეს ქუთაისის სახალხო განათლების სამმართველომ და დოსააფის საქალაქო კომიტეტმა, ლიტველმა და ესტონელმა კოლეგებმა. დაგვიმზადეს ქუთაისის შემოგარენის ფერადი სპორტული რუკები. შეჯიბრების ჩატარება იკისრა ქუთაისის საქალაქო სპორტკომიტეტმა, გარკვეული მხარდაჭერა გვქონდა სპორტსაზოგადოება „შევარდენის" საქალაქო საბჭოსა და კოოპერაციული ტექნიკუმის დირექციისაგან. შეჯიბრების სპონსორებად მოგვევლინენ საზღვარგარეთელი და მოკავშირე რესპუბლიკების სპეციალისტები. კერძოდ, შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის შვეციის ქალაქ ერებროს სპორტულმა კავშირმა დააწესა 12 პრიზი (კავშირის პრეზიდენტი — ინგე ბლუმბერგი). შვედური სპორტული ორიენტირების კლუბის „ოირინგენის" პრეზიდენტ სორენ იანსონის მიერ დაწესებული იყო 2 გრან-პრი, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის საუკეთესო სპორტსმენისათვის.

შეჯიბრება კომერციული ხასიათისა გახლდათ. ტურნირში, ქუთაისელ სპორტსმენთა გარდა, მონაწილეობდნენ ლაგოდეხისა და საჩხერის გუნდები. თბილისელი და სოხუმელი სპორტსმენები უსახსრობის გამო, სამწუხაროდ, საასპარეზოდ ვერ ჩამოვიდნენ. გარდა ქართველი სპორტსმენებისა, ტურნირში მონაწილეობდნენ ლენინგრადელები, იაროსლაველები, და მოსკოველები. შესანიშნავად გამოვიდნენ ქართველი სპორტული ორიენტირების ოსტატები.

ეს შეჯიბრება, ვფიქრობთ, ტრადიციული უნდა გახდეს. გაისად მასში, ალბათ, უცხოელი სპორტსმენებიც მიიღებენ მონაწილეობას და, ამრიგად, იგი საერთაშორისოდ გადაიქცევა.

ორიოდე სიტყვით საქართველოში სპორტული ორიენტირების განვითარების პერსპექტივებზე. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ გზა გავიკაფოთ ორიენტირების საერთაშორისო ფედერაციაში გასაერთიანებლად. დამყარებულია კონტაქტები ფედერაციის გენერალურ მდივან შვედ ლეონარდ ლევინთან. სპორტული ორიენტირება სპორტის ოლიმპიურ სახეობადაა აღიარებული, რაც საერთაშორისო ფედერაციაში მისი გაწევრიანების ინტერესებს უფრო მეტად ზრდის, თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენში სპორტის ამ სახეობის განვითარებას არ ექცევა მაინცდამაინც ჯეროვანი ყურადღება.

ფაქტიურად, არ არსებობს საქართველოს სპორტული ორიენტირების ფედერაცია და თუ არსებობს ისიც ქაღალდზე. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში არ გამართულა საქართველოს პირველობა მოზრდილებს შორის.

ახლა დღის წესრიგშია რესპუბლიკური სპორტული სკოლის შექმნის იდეა, რომელიც უნდა გაუძღვეს ამ სახეობას. სპორტული ორიენტირების განვითარებისათვის საფუძვლის შექმნა გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ეროვნული არმიის კადრების მომზადებას. ასე რომ, ამ საკითხს უფრო სერიოზული მიდგომა სჭირდება.

ამას წინათ სახალხო განათლების სამინისტროში გაიმართა საუბარი სპორტული ორიენტირების პრობლემებზე, სადაც აღინიშნა, რომ ქუთაისში შექმნილია შესანიშნავი ბაზა ამ სახეობის განვითარებისათვის. ქალაქის გარშემო არის სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი ადგილი, რაც ესოდენ საჭიროა ორიენტირების აღორძინებისთვის. ითქვა ისიც, რომ ქუთაისი უნდა გადაიქცეს საქართველოში სპორტული ორიენტირების განვითარების სასწავლო ცენტრად. ამ საკითხის მოგვარებაში ველით საქართველოს სპორტსახკომისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერას. დრო არ ითმენს!

**ბონდო ხვედელიძე,**
**სპორტული ორიენტირების საქართველოსა და ქუთაისის მოსწავლეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი.**

# მუსიკით უმჯობესია

**სტუდენტთა** ფიზიკური აღზრდის მთავარი ამოცანა, ცხადია, მათი ჯანმრთელობის განმტკიცება და შრომისუნარიანობის ამაღლებაა. მაგრამ უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის არსებული სისტემა სერიოზულ გადასინჯვას და გაუმჯობესებას მოითხოვს. ამიტომ ახლავე საჭიროა შემუშავდეს და პრაქტიკულად განხორციელდეს ღონისძიებათა ისეთი სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ფიზკულტურა და სპორტი ახალგაზრდების ცხოვრების ნაწილად ვაქციოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კურსზე დადგენილი ვარჯიშის მოცულობა (ოთხი საათი კვირაში), სტუდენტთა ნაწილის მიზიდვა მომზადების უფრო სრულყოფილ ჯგუფებში, აგრეთვე მათი მონაწილეობა სპორტულ და ფიზკულტურულ-მასობრივ ღონისძიებებში, გარკვეულ საზღვრებში, ასე თუ ისე წყვეტს ზემოთ აღნიშნულ ამოცანას. მაგრამ აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მხოლოდ დამოუკიდებლად, ვარჯიშის სხვადასხვა ფორმის დანერგვითა და განვითარებით მივაღწევთ, რომ სტუდენტმა შეძლოს ვარჯიშის ოპტიმალური მოცულობის (6-8 საათი კვირაში) შესრულება. სხვადასხვა ლიტერატურული წყაროები და ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ კვირაში ფიზკულტურის ორი გაკვეთილის ჩატარება, ბევრს არაფერს იძლევა — სტუდენტთა ფიზიკური მდგომარეობა უმნიშვნელოდ თუ უმჯობესდება. ისიც დადგინდა, რომ მასობრივ სპორტულ სექციებს აკითხავს I და II-კურსელთა მხოლოდ 25,9 პროცენტი. ამასთან, კურსიდან კურსამდე მომეცადინეთა რიცხვი თანდათან მცირდება და მეოთხე კურსზე მხოლოდ 16 პროცენტი რჩება. უფროსკურსელები, ფაქტობრივად, „უმოძრაო ცხოვრებას" ეწევიან და მათ ფიზიკურ მომზადებაზე რაიმე საიმედოს ვერაფერს იტყვი.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ეკიდება სტუდენტობა გულგრილად ფიზიკურ ვარჯიშს, თვით ამ ვარჯიშთა ერთფეროვნებაში უნდა ვეძებოთ. სხვათა შორის, ეს გრძნობა არა მარტო მოყვარულებსა და ფიზკულტურელებს სდევთ თან, არამედ თვით სპორტსმენებსაც კი, რომლებიც მათთვის საყვარელ სახეობაში ვარჯიშობენ. სპეციალური ილეთების ათასგზის გამეორებას მოყირჭებამდე, და ხშირად შეძულებამდეც კი მიჰყავს ახალგაზრდა ადამიანი. მონოტონურობისა და მისგან გამოწვეული ფსიქოფიზიოლოგიური ზემოქმედების შესამცირებლად კი, როგორც მეცნიერული კვლევა და პრაქტიკა გვიჩვენებს, ძირითად საშუალებას წარმოადგენს მუსიკა.

ამ დროს „დირიჟორად" მწვრთნელი-პედაგოგი გვევლინება. ეს ვარჯიშის ძველი მეთოდის ხელახლა აღორძინებაა, ოღონდ უკვე ახალი სახით, მუსიკის უფრო ფართო და მრავალმხრივი გამოყენებითა და სავარჯიშო გარემოს გაუმჯობესებით თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

მუსიკას თავისი მკაცრი, ობიექტური კანონები აქვს: ფორმა, ხასიათი, ტემპი და რიტმი, რომლებიც მოვარჯიშეებს აიძულებს მკაცრად მისდიონ მას. ტემპი და რიტმი ადამიანზე, მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე ზემოქმედების ძლიერი ინსტრუმენტია, ამიტომ ხელმძღვანელმა დიდი ყურადღებით უნდა შეადგინოს ფონოგრამა, რომელიც ფიზიკური ვარჯიშისას მომხიბვლელი წარმმართველის როლს შეასრულებს.

**თ. ზარაფიშვილი,**
**საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე.**

**ი. დელა-როსა,**
**კათედრის უფროსი მასწავლებელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.**

# სიყვარულსაც აღზრდა უნდა

**სამშობლოს** სიყვარული ალბათ შენი მიწა-წყლის, შენი ქვეყნის ბუნების სილამაზის შეცნობით და მისი ისტორიული წარსულის შესწავლითაც იწყება. ტურიზმის უნიკალური შესაძლებლობები ამგვარი შემეცნება-შესწავლის კარგ საშუალებას წარმოადგენს. სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკურმა საბჭომ ფეხბურთის, ტანვარჯიშის, ცურვის და ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტული სკოლების მოსწავლეთათვის ამას წინათ, საინტერესო ტურისტული ლაშქრობა მოაწყო მცხეთა-არმაზში. მოზარდები გაეცნენ ისტორიულ ძეგლებს, დატკბნენ ბუნების მშვენიერებით, სუფთა ჰაერზე მოსინჯეს ძალები ჭიდაობასა და კარატეში, ერთმანეთს შეეჯიბრნენ კარვების გაშლაში, თოკზე სრიალში, დაბრკოლებათა გადალახვაში...

**მზია ხუხიაშვილი.**

თვალსაზრისი !

# „ლელოს" რედაქციას

**თქვენი** გაზეთის 1990 წლის 5 მაისის ნომერში დაიბეჭდა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმნის და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგიის უფროსი მეცნიერ-რედაქტორის დავით იუკურიძის წერილი „ვისია, ვისია"...

როგორც ავტორი აღნიშნავს, ფეხბურთელ ქალთა გუნდი საქართველოში 1975 წელს შეიქმნა თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებლის ბაზაზე. შეჯიბრებაც კი გამართულა, მაგრამ მაშინ რომელიღაც „ჩინოვნიკს" უთქვამს ბურთის დევნა ქალების საქმე არ არისო და ეს კარგი წამოწყებაც ჩაშლილა... შემდეგ მაინც აღორძინებულა... ავტორი გახარებულია იმის გამო, რომ განახლების სიო შეეხო ჩვენს საუკეთესო ფეხბურთელ ქალთა გუნდს „ივერიასაც" და იქვე სინანულით დასძენს — გუნდი დღეს კვლავ უპატრონოაო.

არის თუ არა საჭირო საქართველოში ქალთა ფეხბურთის ან ძიუდოს დანერგვა-გავრცელება? ჩვენის აზრით, ეს არავითარ სარგებლობას არ მოუტანს ჩვენს ერს. იგი საზიანო უფრო იქნება. ემანსიპაცია სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ქალი ყოველმხრივ და ყველაფერში გაუტოლდეს მამაკაცს.

ჩემი აზრით, ქალის მონაწილეობა ფეხბურთში, ძიუდოში ან, თუ გნებავთ, ათლეტიზმში ქალის დაცინვაა. ქართველი ქალი უნდა დაეუფლოს ტანვარჯიშს, ბადმინტონს, ჩოგბურთს, მაგიდის ჩოგბურთს, ფრენბურთს, ჭადრაკს...

ფეხბურთი, ძიუდო და ათლეტიზმი გარდა იმისა, რომ მამაკაცთა სპორტია და სუსტი სქესის წარმომადგენლებს ნამდვილად არ შეშვენით. განა დიდი რუსთაველი არ ამბობს, რომ ბურთაობა ძველთაგანვე მამათა საქმე ყოფილა და არა ასულთა ხელობა.. იქნებ ღირს ამ საკითხს ჩაუფიქრდნენ ფეხბურთის და ძიუდოს ქართული სექციის წევრთა დედები და, თუ გნებავთ, მამებიც.

ჩვენ ყველაფერში სხვას რომ მივბაძოთ, ხელს არ მოგვცემს. ვთხოვთ საქართველოს ღირსეულ მანდილოსნებს — აკადემიკოსებს ნ. ჯავახიშვილს, მ. ლორთქიფანიძეს, პროფ. თ. დეკანოსიძეს, საქართველოს სახალხო არტისტს მ. ჯაფარიძეს და სხვებს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრება ამ საკითხზე.

**ი. გოგიშვილი.**
**ტყიბულის მედსანნაწილის მთავარი ექიმი. რუსთაველის საქალაქო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.**

ჰონორარი გთხოვთ გადარიცხოთ სეოკ-ის ფონდში 700608 ანგარიშზე.

**ამ წერილის დაბეჭდვა ჩვენს გაზეთში სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რედაქცია იზიარებს მასში გამოთქმულ მოსაზრებებს. სუსტი სქესი კარგად „მოერგო" თანამედროვე სპორტის მოთხოვნებს და არნახულ წარმატებებს მიაღწია. წერილში გაცხადებულ აზრს, ბუნებრივია, მომხრეები ეყოლება, თუმცა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ფიზიოლოგები, ბიოლოგები, მედიცინის მუშაკები მასში უარყოფითს ვერაფერს ხედავენ. წერილის ავტორი გამოხმაურებას სთხოვს ჩვენს სახელოვან მანდილოსნებს, მაგრამ ვფიქრობთ, ეს საკითხისადმი არაპროფესიონალური მიდგომაა, მის გარშემო კომპეტენტურმა პირებმა უნდა იმსჯელონ. ისინი კი რატომღაც სდუმან...**

# ფ. ხვისტანის მემორიალი

**ამას** წინათ თბილისში გაიმართა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაღუპულ მილიციის მაიორ ფილარეტ ხვისტანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ხელჩართულ ბრძოლაში. მასპინძელთა გარდა მასში ბათუმელი, ქუთაისელი და რუსთაველი სპორტსმენები გამოდიოდნენ. შეჯიბრება ორ ტურად ჩატარდა. პირველ ტურში (ხელჩართული ბრძოლა) გაიმარჯვა თბილისელმა დ. ხუციშვილმა.

გთავაზობთ მეორე ტურის (ორთაბრძოლები წონით კატეგორიებში) უძლიერესებსაც: 65 კგ — დ. კურატიშვილი, 70 კგ — ს. სამარჯიევი, 75 კგ — დ. სულიკაშვილი, 80 კგ — დ. ხუციშვილი, 85 კგ — ქ. კალმახელიძე, 85 კგ-ს ზევით — ა. იაკოვლევი.

აბსოლუტურ კატეგორიაში უძლიერესი იყო ა. იაკოვლევი, მეორე ადგილზეა ა. პოპოვი, მესამეზე — დ. ხუციშვილი.

გამარჯვებულებს საპატიო პრიზი გადასცეს ფ. ხვისტანის მეუღლემ, შვილებმა და ძმამ.

**ვ. გალიაროვი,**
**სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ხელჩართული ბრძოლისა და სამბოს ცენტრის უფროსი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

### „კოლხეთი-1913" (ფოთი) — „ბათუმი" (ბათუმი) 1:0 (0:0)

ფოთი. „ფაზისის" სტადიონი. 30 ივნისი.

„კოლხეთი-1913": მიქავა, კაკაჩია, ქაჯაია, გიგატაძე, გიორგაძე, შამათავა, თოფურია (ავრამიდისი), დ. მახარაძე, ჯულელი, თვარაძე, ჭყონია.

„ბათუმი": მამინაშვილი, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, კიკლიაშვილი, ზედანია, მ. მახარაძე (ი. მახარაძე), უჯმაჯურიძე (მაჭუტაძე), შანიძე, ტულუში, მაისურაძე.

მსაჯები: თ. ლაცაბიძე, ზ. ლაცაბიძე, გ. ხერუაშვილი (სამივე — თბილისი).

გააფრთხილეს: მ. მახარაძე.

მატჩის დამთავრების შემდეგ ვთხოვეთ „კოლხეთი-1913"-ის მთავარ მწვრთნელს — სოსო ფილიას, დაესახელებინა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელები. „ვერავის გამოვყოფ, ყველამ შესანიშნავად ითამაშა, მათ მთელი თავიანთი შესაძლებლობები ჩააქსოვეს ამ მატჩში" — იყო მწვრთნელის პასუხი.

მართლაც, ფოთელებმა საუკეთესოდ ითამაშეს. მთელი I ტაიმის მანძილზე უპირატესობას ისინი ფლობდნენ და თუ ანგარიში არ გაიხსნა, ეს პირველ ყოვლისა, მეკარე მამინაშვილის დამსახურებაა, რომელმაც კარგად ჩაატარა მთელი მატჩი.

მეორე ნახევარში ი. მახარაძისა და მაჭუტაძის გამოსვლამ მეტი სიმწვავე შეიტანა ბათუმელთა იერიშებში, მათ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს „კოლხეთის" კართან. 61-ე წუთზე მაჭუტაძეს შეეძლო ანგარიშის გახსნა, იგი პირისპირ გავიდა მეკარე მიქავასთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმარჯვა და ფეხებიდან აართვა ბურთი.

დარჩენილ დროში კვლავ მასპინძლები უტევდნენ. 82-ე წუთზე ფოთელთა მორიგი იერიში მოიგერიეს ბათუმელმა მცველებმა, მაგრამ ჯულელმა იმარჯვა და შორი მანძილიდან ძლიერი დარტყმით ერთადერთი ბურთი გაიტანა ამ მატჩში.

**ტრისტან მანია,**
„ლელოს" კორ.

### „გორდა" (რუსთავი) — „გურია" (ლანჩხუთი) 0:0

რუსთავი. „ფოლადის" სტადიონი. 2 ივლისი.

„გორდა": მეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, კილასონია, აფციაური, ტ. კაპანაძე, მეტრეველი, ა. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე (წიკლაური).

„გურია": ქანთარია, ტყებუჩავა, კაბისაშვილი, დანელია, მაჟეიკასი, ცომაია, მიქაბერიძე, ფრიდრიკასი (ჩხაიძე), კორძაღიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე (ბარათაშვილი).

მსაჯები: გ. ხეფიაშვილი, შ. ხანიაშვილი, ვ. ეჯიბია (სამივე — თბილისი).

გააფრთხილეს: ფანცულაია, მაჟეიკასი.

**ყურადღების** ცენტრში იყო რუსთავის მატჩი, ადგილობრივ „გორდას" და ლანჩხუთის „გურიას" შორის.

ორივე კლუბი ლიდერობდა გათამაშებას, „გურია" ბურთების უკეთესი სხვაობით პირველ ადგილზე იყო, ხოლო „გორდა" — მეორეზე. მატჩს უნდა გამოევლინა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის I წრის გამარჯვებული.

სახიფათო მომენტი პირველი ნახევრის 21-ე წუთზე შეიქმნა, როდესაც აფციაურმა თავით გაგზავნა ბურთი მეტოქის კარისკენ, მაგრამ იგი მცირე მანძილიდან ასცდა მიზანს. ამ შეტევის საპასუხოდ ფრიდრიკასის შორი მანძილიდან საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ძელს მოხვდა. ეს მოხდა თამაშის მე-40 წუთზე.

პირველი ნახევარი ფრედ დამთავრდა — 0:0, მეორე ტაიმი რუსთაველთა იერიშით დაიწყო, მაგრამ ლანჩხუთელთა დაცვა ზუსტად მოქმედებდა.

78-ე წუთზე დანელიას წამოწყებული კომბინაცია ფრიდონაშვილმა ძლიერი დარტყმით დაამთავრა, მაგრამ კილასონიამ კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

**აკაკი ყანდიაშვილი,**
„ლელოს" კორ.



„გორდა" — „გურია"
ა. კოჭლამაზაშვილის ფოტო.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" (ლანჩხუთი) | 17 | 11 | 3 | 3 | 35-6 | 36 |
| „გორდა" (რუსთავი) | 17 | 11 | 3 | 3 | 33-13 | 36 |
| „იბერია" (თბილისი) | 16 | 10 | 4 | 2 | 46-12 | 34 |
| „ბათუმი" (ბათუმი) | 16 | 10 | 4 | 2 | 26-6 | 34 |
| „მერცხალი" (ოზურგეთი) | 17 | 8 | 5 | 4 | 26-17 | 29 |
| „ქუთაისი" (ქუთაისი) | 16 | 9 | 1 | 6 | 27-17 | 28 |
| „ცხუმი" (სოხუმი) | 17 | 8 | 4 | 5 | 30-16 | 28 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 17 | 8 | 4 | 5 | 27-17 | 28 |
| „კოლხეთი-1913" (ფოთი) | 17 | 8 | 3 | 6 | 29-19 | 27 |
| „დილა" (გორი) | 16 | 7 | 3 | 6 | 25-22 | 24 |
| „სანავარდო" (სამტრედია) | 15 | 6 | 4 | 5 | 15-21 | 22 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 17 | 5 | 5 | 7 | 17-15 | 20 |
| „შევარდენი-1906" (თბილისი) | 16 | 6 | 1 | 9 | 23-35 | 19 |
| „ივერია" (ხაშური) | 17 | 5 | 0 | 12 | 11-37 | 15 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 17 | 4 | 3 | 10 | 17-33 | 15 |
| „მზიური" (გალი) | 16 | 4 | 2 | 10 | 16-41 | 14 |
| „ამირანი" (ოჩამჩირე) | 17 | 3 | 3 | 11 | 14-26 | 12 |
| „ლიახვი" (ცხინვალი) | 17 | 0 | 0 | 17 | 3-68 | 0 |





● ქ. ნეაპოლი.
● რომში დღეს ყველა ფეხბურთის ენაზე ლაპარაკობს.
● ქ. ბარი — ქართველი ტურისტები სტადიონზე.
● წესრიგს იცავს ცხენოსანი პოლიცია

ელგუჯა ბერიშვილის ფოტოები (გაზეთი „რესპუბლიკა")





## I ჯგუფი

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის: „დურუჯი" (ყვარელი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 0:1, „ალაზანი" (გურჯაანი) — ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 4:1, „საპოვნელა" (თერჯოლა) — „არმაზი" (მცხეთა) 4:1, „ქართლი" (გორის რ-ნი) — „სიონი" (ბოლნისი) 2:2, „იმერეთი" (ხონი) — „მარგვეთი" (ზესტაფონი) 1:1, „შუქურა" (ქობულეთი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 1:0, „კახეთი" (თელავი) — „სქური" (წალენჯიხა) 3:0, „მალაროელი" (ჭიათურა) — „სულორი" (ვანი) 1:5, „არაგვი" (დუშეთი) — „სიხარული-90" (გაგრა) 4:3.

## გათამაშების ცხრილი

● მდგომარეობა 4 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მარგვეთი" (ზესტაფონი) | 17 | 14 | 1 | 2 | 41-17 | 43 |
| ალაზანი" (გურჯაანი) | 18 | 12 | 3 | 3 | 36-19 | 39 |
| „სულორი" (ვანი) | 18 | 12 | 3 | 3 | 28-16 | 39 |
| „სიხარული-90" (გაგრა) | 18 | 10 | 4 | 4 | 37-19 | 34 |
| „სიონი" (ბოლნისი) | 18 | 9 | 4 | 5 | 33-24 | 31 |
| „კახეთი" (თელავი) | 16 | 8 | 3 | 5 | 25-16 | 27 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 17 | 7 | 6 | 4 | 24-19 | 27 |
| „იმერეთი" (ხონი) | 18 | 7 | 3 | 8 | 21-29 | 24 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 16 | 7 | 1 | 8 | 17-25 | 22 |
| „მალაროელი" (ჭიათურა) | 18 | 6 | 2 | 10 | 24-32 | 20 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 17 | 5 | 5 | 7 | 21-31 | 20 |
| „ქართლი" (გორის რ-ნი) | 17 | 6 | 1 | 10 | 26-26 | 19 |
| ფიზკ. ინსტ. | 17 | 5 | 4 | 8 | 17-25 | 19 |
| „არმაზი" (მცხეთა) | 17 | 5 | 4 | 8 | 21-32 | 19 |
| „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) | 18 | 4 | 7 | 7 | 21-22 | 19 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 17 | 4 | 7 | 6 | 22-24 | 19 |
| „საპოვნელა" (თერჯოლა) | 17 | 5 | 3 | 9 | 20-24 | 18 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 17 | 5 | 3 | 9 | 23-28 | 18 |
| სტუ | 18 | 5 | 1 | 12 | 24-39 | 16 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 17 | 3 | 3 | 11 | 12-22 | 12 |

**2 ივლისს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-19 ტურის შეხვედრები.

## I ლიგა

### „დინამო" (სოხუმი) — „დინამო" (სტავროპოლი) 1:0 (1:0)

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 2 ივლისი.

„დინამო" (სოხუმი): ოვჩინიკოვი, საბიტოვი, ჩალიგავა, რ. თარბა, თ. ლოგუა, ენიკი (არუთინიანი), კვარაცხელია, აჰვლედიანი, სმირნოვი (გუბაზი), ტუნიკინი (დობაშინი), ხაგბა.

„დინამო" (სტავროპოლი): პობედინი, ბობრიშევი, შესტაკოვი, ნიკიტინი, კრახაკინი (გიბილოვი), კოხტინი, უშაკოვი, ლეონიდოვი, გილაგაევი (რიდნი), ხუშჩი, ონუფრიევი (მატვიენკო).

მსაჯი ა. ბუტენკო (მოსკოვი).
გააფრთხილეს ა. ნიკიტინი.

ლიგის ერთ-ერთმა ლიდერმა სტავროპოლის გუნდმა სუსტად ჩაატარა თამაშის დასაწყისი, ამით ისარგებლეს მასპინძლებმა და უპირატესობით წარმართეს პირველი ტაიმი. მეკარე პობედინის კარი ორჯერ იხსნა ძელმა ჩალიგავასა და ხაგბას დარტყმების შემდეგ, 25-ე წუთზე კი ჩალიგავამ ზუსტად ითამაშა და გადამწყვეტი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში.

სტუმრებმა მხოლოდ შესვენების შემდეგ გააძლიერეს თამაში, რამდენიმე საპასუხო მომენტიც შექმნეს, მაგრამ საიმედოდ მოქმედებდნენ სოხუმელთა მცველები და მეკარე ოვჩინიკოვი.

**თენგიზ ბაჭკორია,**
„ლელოს" კორ.

ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „ყუბანი" (კრასნოდარი)— „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) 1:1, „ზენიტი" (ლენინგრადი)— „ლოკომოტივი" (გორკი) 1:1, „ნეფთჩი" (ბაქო) — „ფაკელი" (ვორონეჟი) 3:1, „სპარტაკი" (ვლადიკავკაზი) — „გეოლოგი" (ტიუმენი) 3:1, „კოტაიკი" (აბოვიანი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 0:3, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 1:1, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „კაირატი" (ალმა-ათა) 1:0, „ტირასი" (ტირასპოლი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 0:3

## ორი ტურნირი, ორი გამარჯვება

**ჩვენი** რესპუბლიკის ჭაბუკ ფეხბურთელებს გასაგები მიზეზის გამო, სულ უფრო იშვიათად იწვევენ საკავშირო ტურნირებზე, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში ჩვენი წარგზავნილები პრიზიორთა შორის არიან.

ქ. ლაზარევსკაიაში ახლახან დამთავრებული საკავშირო ტურნირი ზემოთ თქმულის დადასტურებაა, ამ ქალაქში თავი მოიყარეს უსლამბინსკის, ხარკოვის, ჟელეზნოგორსკის, ტამბოვის, ლაზარევსკაიას, კრასნოდარის, ნოვი-ოსკოლის, სოჭისა და გორის საფეხბურთო სკოლის (დირექტორი გ. რევაზიშვილი, მწვრთნელი ზ. ხაჩირაშვილი) გუნდებმა.

გორელებმა ყველა შეხვედრაში გაიმარჯვეს და შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდეს გამარჯვებულის წოდება.

„საუკეთესო მეკარის" ჯილდო მიეკუთვნა გორელ ბექა ჩიტაიას, „საუკეთესო მცველის" — მიშიკო თაყაძეს, „საუკეთესო ნახევარმცველისა" — ქიტესა შატაკიშვილს, ხოლო „საუკეთესო ბომბარდირისა" — კახა გუდურაშვილს.

• • •

**ამავე** საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელების გამარჯვებით დამთავრდა, აგრეთვე, კობა თურაზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, რომელიც ყოველწლიურად იმართება ქ. გორში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 1978 წელს დაბადებული ჭაბუკები. მათ შორის იყვნენ თბილისის „ავაზა", ხობის „კოლხეთი", მარტყოფის სპორტული სკოლა, გარდაბნის „შავნაბადა" და ადგილობრივი სპორტსკოლის გუნდი.

გორელმა ნორჩმა ფეხბურთელებმა ხუთივე თამაში მოიგეს. მათ გადამწყვეტი ფინალური შეხვედრა ჰქონდათ თბილისის გუნდთან, რომელიც დიდი ანგარიშით — 7:0 დაამარცხეს და დაეუფლნენ საპატიო თასს.

საუკეთესო მოთამაშეთა პრიზები გადაეცათ გორელ პაატა ფეზერაშვილს, ნოე არუთინიანს, ლევან მერაბიშვილს.

გორის საფეხბურთო სკოლის დირექტორმა გ. რევაზიშვილმა განაცხადა, რომ სექტემბრიდან სკოლას გადაეცემა საკუთარი საწვრთნელი ბაზა, რომელიც კულტურისა და დასვენების პარკის მიდამოებში შენდება.

**ილია თევდორაშვილი,**
„ლელოს" კორ.

# ჩაო, ბამბინო, სორი

## ჩვენების არაჩვეულებრივი თავგადასავლები იტალიაში

— **დილით**, ვენეციის მახლობლად მდებარე სასტუმროში გაღვიძებისას, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ სიცოცხლე მაინც კარგი რამეა, რომ ყველა უსიამოვნება უკან დარჩა და წინ არის მხოლოდ სასიამოვნო მოგზაურობა — ვენეცია, ნეაპოლი, რომი. ჩავედი ქვემოთ, სასტუმროს ჰოლში და.. მთელი ჩვენი ჯგუფი დაგვაპატიმრეს, ჩაგვსხეს ავტობუსში და სსრ კავშირ-კამერუნის მატჩის ნაცვლად პოლიციის განყოფილებაში გვიკრეს თავი. როგორც გამოირკვა, წინა საღამოს, სასტუმროს საფასური ყალბი დოლარებით გადაგვიხდია. თუმცა, ჩვენი თავგადასავლები ამით არ დამთავრებულა. — ეს ნაამბობი ტურისტული ჯგუფის ერთ-ერთ წევრს ეკუთვნის.

როგორც ცნობილია, „ინტურისტმა“ მსოფლიო ჩემპიონატზე გულშემატკივრები ცოტა უფრო ნაკლები რაოდენობით გაამგზავრა, ვიდრე კამერუნმა. ამიტომ, ფეხბურთის გულშემატკივრების დახმარება კოოპერატივებმა ითავეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ესენი იყვნენ: ერევნის „მერკური“, თბილისის „ივერია“ და პოლონური ფირმა „ტურეტური“. მარშრუტი ასეთი იყო: თბილისიდან თვითმფრინავით პოლონეთში, იქედან კი ავტობუსით, იუგოსლავიის გავლით, იტალიაში.

გაურკვევლობები პოლონეთშივე დაიწყო. დაბინავდნენ სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში, დოლარი იმაზე ნაკლები აღმოჩნდა, რაც კონტრაქტით იყო გათვალისწინებული, ტურისტი კი იმაზე მეტი, ვიდრე ავტობუსში ეტეოდა. ორი დღე კამათში დაიკარგა. ბოლოს და ბოლოს ვალუტის ნარჩენი დაამატეს, ავტობუსიც „მოიმათხოვრეს“ და მგზავრობაც დაიწყო. ეძინათ და სახელდახელოდ იკვებებოდნენ არაკომფორტაბელურ ავტობუსებში. მეორე საგანგებო შემთხვევა იტალიის საზღვარზე მოხდა. აღმოჩნდა, რომ შესასვლელი ვიზები სწორად მხოლოდ ერევნელ გულშემატკივრებს ჰქონდათ გაფორმებული, თბილისელებს კი შესთავაზეს ან გადაეფრინათ საზღვარზე, როგორც ეს საბუთებში იყო აღნიშნული, ან უკან გაბრუნებულიყვნენ.

იტალიაში, რა თქმა უნდა, არავინ დაგვხვედრია, სასტუმროც არავის შეუკვეთია. — მიყვება ჩემი თანამოსაუბრე. — ეს საქმე, რის ვაი-ვაგლახით თავად მოვაგვარეთ, მოვეწყვეთ ქალაქგარეთ. ყველაზე იაფი ნომრები დღე-ღამეში 35 დოლარი ღირდა. დილით კი, როგორც უკვე გითხარით, დაგვაპატიმრეს. ნახევარი დღის მანძილზე დამტვრეული ინგლისურით ვუხსნიდით, რომ არ ვიყავით ყალბი ფულის მჭრელები, რომ დოლარები მივიღეთ პოლონეთში და არა საბჭოთა კავშირში. ბოლოს შევეცოდეთ და გამოგვიშვეს, ოღონდ იმ პირობით, რომ სასტუმროს ფულს თავიდან გადავიხდიდით, უკვე ნამდვილი დოლარებით (ყალბი აღმოჩნდა 20-დოლარიანი ბანკნოტები). რას ვიზამდით, ფული თავიდან გადავიხადეთ და ვენეციაში წავედით, სადაც მეორე ავტობუსი უნდა მოსულიყო. ერთი დღე ცენტრალურ მოედანზე გავატარეთ, მეორეც, მესამე დღეს ფულიც გაგვითავდა. სიტყვამ მოიტანა და ყველაზე ცუდი ბუტერბროდი 12 დოლარი ღირდა და თუ გავითვალისწინებთ, რომ ფული 1:1, ანგარიშით გადაგვიხურდავეს, გამოდიოდა, რომ თითო ძეხვიანი ბუტერბროდი 200 მანეთამდე გვიჯდებოდა. ერთი სიტყვით, მშივრები, გაბრაზებულები და დაღლილები უკან მივბრუნდით. ქართველების ჯგუფს თვითმფრინავის ტრაპთან შევხვდით. ბედმა არც მათ გაუმართლათ. სამი დღე გაატარეს იტალიის საკონსულოსთან, სანამ ყველა ფორმალური საკითხი მოგვარდა. მათ მხოლოდ ის მოასწრეს, რომ ჩამოსულიყვნენ ვენეციაში, დარწმუნებულიყვნენ ჩვენს იქ არყოფნაში და დაბრუნებულიყვნენ უკან, თვითმფრინავზე მისასწრებად. ერთი სიტყვით ყველაფერი ისე იყო, როგორც ცნობილ სიმღერაშია „ჩაო, ბამბინო, სორი...“

**ვ. ალიანი,**

**ერევანი.**

**„კომსომოლსკაია პრავდა“, I.VII. 1990.**

**„ლელოს“ რედაქციისაგან: ხშირად გვეკითხებიან, საქართველოდან რომელი სპორტული ორგანიზაციების მეშვეობით გაემგზავრნენ გულშემატკივრები იტალიაში? გუშინ ერთხელ კიდევ გადავამოწმეთ: საქართველოს არც ერთ სპორტულ საზოგადოებას, აგრეთვე არც სპორტსახკომს, არც ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს იტალიაში ტურისტთა ჯგუფი არ გაუგზავნია. ჩვენგან მხოლოდ რამდენიმე წარმომადგენელი მოხვდა საკავშირო პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებისა და საკავშირო სპორტსახკომის სპეციალისტთა ჯგუფში.**

**საქართველოში ტურისტული ჯგუფების დაკომპლექტება, მათი იტალიაში გამგზავრება და მომსახურება ითავეს ცალკეულმა კოოპერატივებმა და ტურისტულმა ორგანიზაციებმა.**

ქართული პრესა წერდა...

# არც ძველში, არც ახალში

„საუბედუროთ დღეს ჩვენ ბევრში არ ვწევივართ — არც ახალს ცხოვრებას და არც ძველს; მრავალი, რაც კარგი იყო ჩვენს ძველს ცხოვრებაში გვავიწყდება...

საქართველოს ერს კარგათ ესმოდა, რა ძლიერებასაც შეადგენდა მისი ერთობა. ეს ხალხი [illegible]იადაგ ბრძოლამ, თავის სამშობლოს დიდებისთვის, გამოსცადა საზოგადოებრივ საქმეებში, და ამისთვის არის რომ ყოველს ქართველის ტომის მოქმედებას, საქციელს დარბაისლობის ნიშანი ასვია.

ავიღოთ, თუ [illegible]ნებავსთ, ჩვენი საზოგადო შექცევები და დროს-გატარებანი: რომელ ხალხში ნახავთ უკეთესს გამამხნევებელს და რაინდულ შეკრებილებ[illegible]ს, როგორიც ჩვენშია? ბურთი, ჯირითი, ყაბახი, ჭიდაობა, კრივილი, მარულა და ბევრი კიდევ სხვა ამგვარი ნაციონალური თამაშობანი საკვირვლად ამაღლებენ კაცს, და ვგონებ ნამეტანი არ იქნება, რომ ვსთქვათ: ამაღლებენ არა მარტო მის ფიზიკურ მხარეს, არამედ ზნეობასაც.

გარდა იმისა, რომ ყოველი მოქალაქისათვის საჭიროა სიმარჯვე, სხეულის ვარჯიშობა და სიმკვირცხლე, ამნაირი თავის შესაქცევები ხსნიან კაცში საზოგადოებრივობას და ხალხი, რომელსაც საზოგადოებრივი გრძნობა არა აქვს, რომელიც ყველაფერს მარტო თავისთვის იკეთებს, თავისთვის ლხინობს, თავისთვის მწუხარეობს, იმისგან ნაყოფი კაცობრიობას კი არა, თავის ქვეყანასაც არ გამოუდნება რა. საბედნიეროდ ამგვარი თვისებების ნაკლულევანებას ჩვენ ვერავინ შეგვწამებს. ვისაც უნახავს ჩვენი ტირილი, ჩვენი ქორწილი, ჩვენი დღესასწაულები და ხალხის მხიარულება, ის ადვილათ შეადგენდა ქართველის ტომის სულის სიდიდეზედ ჭეშმარიტს აზრს. მაგრამ ესენი ყველაფერი თანდათან კლებულობს. და რისთვის ნეტავი? — განათლების მიზეზითო გიპასუხებს წელში მოხრილი, გამომხრჩვალი და მოუძლურებული სულითა და ხორცით კაცი.

რაც კარგია და სასიქადულო, იმას ვერაფერი განათლება ვერ შეეხება და თუ ისპობა ჩვენი ძველი ჩვეულებანი, ამას უფრო სხვა საფუძველი აქვს. მიზეზი ჩვენი დაუდევნელობაა.

ეს ერთობ სამწუხარო მოვლენა არის, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ნაციონალური დღესასწაულები ხელ-ახლავ ივლიან თავის ბრწყინვალების და დარბაისლობის ხარისხზედ.

ნამეტურ ეხლა, როდესაც საყოველთაო ჯარში სამსახური შემოღებულია რუსეთში და საგულისმოა, რომ ჩვენც გავალთ ჯარში, სასირცხო არ არის, რომ ქართველმა კაცმა განსხვავებული სამხედრო ნიჭი და გამოცდილება არ გამოიჩინოს... განა ჩვენს ხალხს თოფისა და იარაღის მოხმარება სასწავლებლათ უნდა გაუხდეს? მაშინ რაღა ფასი ექნება, რომ ჩვენ დიდებული და გმირი წინაპრების შთამომავლობა ვართ? — სრულიად არავითარი; და ეს ერთი გულის გასაპობ შეტყობათაგანი იქნება საქართველოსთვის, რომ ეხლანდელ ქართველს თავის ძველებთან მზგავსება აღარ ექნეს.

ჩვენ არ გვესმის, რატომ ამდენს ხანს არ შემდგარა არც ერთი საზოგადოება, რომელიც დაიდებდა მიზნად ნაციონალური თვისებების და ჩვეულებების დაცვას?! მაგალითებრ: არის განა ერთი თოფის მსროლელი საზოგადოება, რომელიც ჯილდოს დანიშვნით ახალისებდეს იარაღის ხმარებაზედ თუ გინდ მარტო ახალგაზრდობას?.. არა.

ევროპაში ყოველ წლობით იკრიბებიან ხოლმე მთელი ცას-ქვეშეთიდგან საუკეთესო თოფის მსროლელები და ესვრიან ყაბახს. ამისთანა ალაგს რომ ქართველმა კაცმა ჯილდო მოიგოს, ვითომ სასიამოვნო არ იქნებოდა ეს ჩვენთვის? როგორც კერაზე მოუცილებელი მეოჯახე არავინ იცნობს და არა აქვს საზოგადოებაში არავითარი ფასი, ისეთია გამოუსვლელი და მიმალული ხალხის საქმეც კაცობრიობის სახლობაში. რატომ! თუ გინდ ჯერ კარგი მეთოფით გაიცნოს ევროპამ ჩვენი ხალხი!.. რა უშავს!

აი ეს შუა ადგილზედ ყოფნა არის საძნელო, თორემ განათლებაში ფეხი რომ გვქონდეს, და გვესმოდეს რაშია ჭეშმარიტი განათლება, მაშინ ვინ ილაპარაკებდა ამისთანაებზედ. თუ იქნებოდა ხომ კარგი, თორემ სხვაც ბევრი რამ მოიპოვებოდა ახალს ცხოვრებაში, რომელიც სრულიად დააჯილდოვებდა მზგავსი ჩვეულების დაკარგვას“.

**„დროება“, 1874 წ. №433, 2 აგვისტო.**



### დღესასწაული დუბლინის ქუჩებში

**მეოთხედფინალი** ირლანდიელებისათვის გადაულახავი ზღუდე აღმოჩნდა, მაგრამ ის ფაქტიც, ანგარიშგასაწევია, რომ მათი მეტოქე ჩემპიონატის მასპინძელი და, უმრავლესობის პროგნოზების თანახმად, მომავალი ჩემპიონი იყო.

და მაინც, მიუხედავად მარცხისა, ირლანდიელებისთვის მეოთხედფინალში თამაში დიდი მიღწევა იყო. გულშემატკივრებმაც სათანადოდ დაუფასეს ფეხბურთელებს ეს სპორტული გმირობა.

როდესაც „წმინდა ჯეკი“ (ასე უწოდეს თვითმფრინავს, რომლითაც ირლანდიელი ფეხბურთელები დუბლინში ჩაფრინდნენ, მწვრთნელის, ჯეკი ჩარლტონის პატივსაცემად) დასაფრენ ბილიკზე დაჯდა, აეროპორტის მიდამოებზე ნემსი არ ჩავარდებოდა. თეთრ-მწვანე ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხით იყო სავსე ქუჩები, მოედნები. მძლავრ რადიორეპროდუქტორებში ისმოდა ჰიმნი, რომელიც საგანგებოდ დაიწერა ირლანდიელთა წარმატების აღსანიშნავად.

ქალაქის ცენტრში აღმართული ტრიბუნიდან ფეხბურთელებს ულოცავდნენ პოლიტიკური მოღვაწეები, ბიზნესმენები, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, გულშემატკივრები.

დღესასწაული გვიან ღამემდე გაგრძელდა.

„ასეთი მიღების წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო“ — თქვა ჯეკი ჩარლტონმა. — მსგავსი მხარდაჭერის შემთხვევაში მომავალი ჩემპიონატიდან აუცილებლად ხელდამშვენებულები ჩამოვალთ“.

სამართალდამცავი სამსახურების მონაცემებით, დღესასწაულში მონაწილეობდა დუბლინის ყოველი მეორე მოქალაქე და სხვა ქალაქებიდან ჩასული უამრავი გულშემატკივარი.

იტალიიდან გამგზავრებამდე კი ირლანდიელთა ნაკრები გუნდი სრული შემადგენლობით მიიღო და დალოცა რომის პაპმა. „მეკარე ვიყავი, — უთხრა მან ფეხბურთელებს—, და ვიცი, რამდენს ნიშნავს მინდორზე კეთილშობილება“.

### საგანგებო საყვედურის წერილი

**ჰოლანდიის** ნაკრების ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა — ფრანკ რიიკარდმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალურ მატჩში დასავლეთ გერმანიის გუნდთან შეხვედრისას მინდვრიდან გააძევეს ულირსი საქციელის გამო, საყოველთაო საყვედური დაიმსახურა.

ფ. რიიკარდი იტალიის „მილანში“ გამოდის. ამ კლუბის პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ საგანგებო სასაყვედურო წერილში დიდი უკმაყოფილება გამოთქვა ფეხბურთელის მიმართ. წერილს ხელს აწერს „მილანის“ მწვრთნელი არიგო საკიც.

ფრანკ რიიკარდს აფრთხილებენ, რომ მისმა აშკარად არასპორტულმა საქციელმა „დიდი ზიანი მიაყენა კლუბის რეპუტაციას“.

### „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის „C-3“ შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 3.778.300 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცვნია. 12 შედეგის გამოცნობისთვის (10) მოგება 10.000 მანეთია, 11 შედეგის გამოცნობისთვის (178) — 2.622 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 141. 135 ვარიანტი. 13—0, 12—0, 11—7.

„C-3“ ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 14 ივლისიდან 14 აგვისტოს ჩათვლით.

• • •

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ქვეჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული გუნდების ამოცნობაზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის „C-5“ შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 9.075.361 ვარიანტი. 6 გუნდის გამოცნობისთვის (8.308) მოგება 72 მანეთია, 5 გუნდის გამოცნობისთვის (758.916) —1 მანეთი.

საქართველოში დაშვებულია: 197. 775 ვარიანტი. 6 — 499, 5—24.508.

„C-5“ ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 14 ივლისიდან 14 აგვისტოს ჩათვლით.

• • •

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის 25-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 1.685.177 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (3) მოგება 8.426 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (167) — 302, 11 შედეგის გამოცნობისთვის (8.677) — 20.

საქართველოში: დაშვებულია 71. 769 ვარიანტი. 13—0, 12—12, 11—373.

25-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 14 ივლისიდან 14 აგვისტოს ჩათვლით.

## შოთა მარგიშვილი



**სპორტის ქართველ სპეციალისტთა რიგებს გამოაკლდა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი შოთა მარგიშვილი. იგი დაიბადა 1922 წელს, თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაება დიდ სამამულო ომში, 1946 წელს ჩაირიცხა საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში, აქვე მისდევდა ფრენბურთს. 1950 წელს სათავეში ჩაუდგა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს. ერთდროულად მუშაობდა მასწავლებლად ჯერ თბილისის უნივერსიტეტის, შემდეგ (1963 წლიდან) ახლანდელ საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრებზე უფროს მასწავლებლად.**

**მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ჭაბუკ ფრენბურთელთა გუნდმა ორჯერ გაიმარჯვა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე, ოთხჯერ მოიგო სსრ კავშირის პირველობა. 1968 წელს შ. მარგიშვილი დაინიშნა საქართველოს ვაჟთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელად, შემდეგ კი, მრავალი წლის განმავლობაში, წვრთნიდა ქალთა ნაკრებს. ამ პოსტზე 1984 წლამდე დაჰყო.**

**შ. მარგიშვილი მაღალკვალიფიციური მწვრთნელი იყო და გამოირჩეოდა ღრმა პედაგოგიური ცოდნით. მისი აღზდილი სპორტის ოსტატი ც. აბუაშვილი ამჟამად საქართველოს უძლიერეს ქალთა გუნდის მწვრთნელია. შ. მარგიშვილს საამაყოდ ისიც ეყოფოდა, რომ ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვაჟა კაჭარავა და ბრაზილიის მსოფლიო უნივერსიადის გამარჯვებული სტანისლავ ბუინოვი მისი მოწაფეები არიან.**

**1965 წელს მიენიჭა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.**

**შესანიშნავი მწვრთნელის, გულისხმიერი მეგობრისა და აღმზრდელის შოთა მარგიშვილის ხსოვნა მარად დარჩება ქართულ ფრენბურთში.**

**საქართველოს სპორტსახკომი, საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია.**

რედაქტორი

**თ. გაჩეჩილაძე.**

**თბილისის ეროვნული სტადიონი**

**(ა. წერეთლის გამზირი №2)**

4 ივლისი

**ფეხბურთი**

**საქართველოს 1990 წლის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალი**

**„იბერია“ (თბილისი) —**

**„ქრწანისი“ (თბილისი)**

დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში, 4 ივლისს, 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე. კორექტორები ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. 14,**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**ხამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,**
**„მერანი“ — 93-97-20, „მარათი“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. 14.**
**იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგარეთ კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

**ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდება.**

**1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20** უე 08 779

ეროვნული ბიბლიოთეკა